საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დავით გელაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

დავით გელაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34' მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის თავდაჭერილი და კორექტული. მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მათ შორის, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალურ კანონმდებლობას. ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით. გამოვლინდა,

			რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. კანდიდატმა ვერ გამოავლინა სიღრმისეული ცოდნა საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება. მას ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული და დამაჯერებელი, ამასთან, მხარეთათვის გასაგები. გადაწყვეტილებებში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი სტრუქტურა.
წერის უნარი	20	20	კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს კარგი წერის უნარი. ის თავის პოზიციას აფიქსირებს დასაბუთებულად, გასაგები და მარტივი ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა გამართული მეტყველების უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ, ასევე, თანმიმდევრულად და უმეტეს შემთხვევაში დასაბუთებულად. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოსმენის კარგი უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატს შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ის არის შრომისმოყვარე და პუნქტუალური. კანდიდატის პროდუქტიულობაზე და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ 2 პროფესიულ სემინარში. ამასთან, კანდიდატი აქტიურად არ ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს.
პროფესიული აქტივობა	2	5	კანდიდატი არც თუ ისე აქტიურია პროფესიული კუთხით, ის

			არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან, აქტიურად არ ესწრება პროფეიულ ტრენინგებსა და სემინარებს.
ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36³ მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, დავით გელაშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, დავით გელაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისათვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დავით გელაშვილი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს		

	თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის პრინციპული და დამოუკიდებელი. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რასაც ადასტურებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, დავით გელაშვილი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** დავით გელაშვილი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით კანდიდტის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული, მისი ქცევა და იმიჯი შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. ასევე, მის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** დავით გელაშვილს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია. რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, ობიექტურობას, კოლეგიალურობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ.. რეკომენდატორები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ დავით გელაშვილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად,

	მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ დავით გელაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> <u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* <u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u> გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთებულად ემსჯელა მისთვის დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა იყო ზოგადი და არ იყო გამყარებული შესაბამისი არგუმენტებით. გასაუბრების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. სისხლის სამართლის სფეროდან მისთვის დასმული საკითხების გარკვეული ნაწილი კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად დაასაბუთა და ამოწურა, თუმცა მან სათანადოდ ვერ დაასაბუთა თავისი მსჯელობა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით და სხვა.

	გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა არა სათანადო სიხშირით. ამასთან, მას გაუჭირდა პრაქტიკის მიმოხილვა მისთვის ნაცნობ საქმეებთან დაკავშირებითაც. კანდიდატმა ვერ განავითარა შესაბამისი მსჯელობა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, კერძოდ, ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებთან მიმართებით და ა.შ.. მიზანშეწონილია, კანდიდატი უფრო სიღრმისეულად გაეცნოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონს, კერძოდ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასა და დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივ და ზოგადი ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის 62%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;</u>** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დასაბუთებულად და ნათლად, რაც აღნიშნულს ანიჭებს დამაჯერებლობას. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და განაჩენი სტრუქტურულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატს აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 11-წლიან სამოსამართლო პრაქტიკას. მას ძირითადად გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი. **<u>წერის უნარი;</u>** თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად და დასაბუთებულად. განაჩენში/გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა გამართული მეტყველების

	უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ, ასევე, თანმიმდევრულად და უმეტესად დასაბუთებულად. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, რასაც ადასტურებენ გამოკითხული კოლეგები. თავის წარმოებაში არსებულ საქმეებს ის ეკიდება პასუხისმგებლობით და შესაბამისი ორგანიზებულობით, მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (100%). კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, მათ შორის, მოიცავს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელებას, რაც ვფიქრობ, მეტყველებს კანდიდატის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>** კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, თუმცა, მიზანშეწონილია ის უფრო აქტიურად დაესწროს პროფესიულ სასწავლო შეხვედრებს. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ 2 პროფესიულ სემინარში. ამასთან, კანდიდატი აქტიურად არ ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს (მაგალითად, ბავშვის უფლებათა კოდექსს, საკონსტიტუციო ცვლილებებს სასამართლოსთან მიმართებით და ა.შ..), რაც გამოვლინდა მასთან გასაუბრების შედეგად. **<u>პროფესიული აქტივობა.</u>** კანდიდატი არცთუ ისე აქტიურია პროფესიული კუთხით, ის არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან, აქტიურად არ ესწრება პროფეიულ ტრენინგებსა და სემინარებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.